KA030115284849119

№ 01-1266 **08 / თებერვალი / 2019 წ.**

შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის
უფროსს,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს,
ქალბატონ ელზა ჯგერენაიას

ქალბატონო ელზა,

სოციალური დაცვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა თქვენი 2019 წლის 4 თებერვლის N01-1053 წერილით გამოგზავნილი „შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ეროვნული სტრატეგია 2019-2023“ და „დასაქმების და შრომის ბაზრის 2019-2023 წლების საქართველოს სტრატეგიის 2019-2023 წლების სამოქმედო გეგმის“ პროექტები.

კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, შემდეგს:

1. ჩვენი მოსაზრებით, რედაქტირებას საჭიროებს **მე-2 თავი „სტრატეგიის მიზნები და ამოცანების“** ის ნაწილი, სადაც განსაზღვრულია სტრატეგიის სამიზნე ჯგუფები. კერძოდ, შემოთავაზებული რედაქციით „სტრატეგიის ძირითად სამიზნე ჯგუფებს მიეკუთვნება შემდეგი:

- ·უმუშევარი მოსახლეობა: ახალგაზრდა და ზრდასრული ქალები და კაცები.
- ·სხვადასხვა სოციალური ჯგუფი: ახალგაზრდები (15-29 წელი), ხანდაზმული პირები, დაბალკვალიფიციური კადრები, შეზღუდული შესაძლებლობისა (შშმ) და საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები (სსმ), იძულებით გადაადგილებული პირები, მიგრანტები, უმცირესობები, საერთაშორისო დაცვის მქონე პირები, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფი უცხოელები და სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები.
- სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობა.
- ზოგადად, საქართველოს მოსახლეობა“.

შესაბამისად, დასაზუსტებელია ძირიათადი სამიზნე ჯგუფი საქართველოს მოსახლეობაა თუ ზემოთჩამოთვლილი კონკრეტული კატეგორიები.

2. სტრატეგიის პროექტის „**მიზანი 4: მიზნობრივი სოციალური და ინკლუზიური დასაქმების პოლიტიკით შრომის ბაზარზე მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის ხელშეწყობა“ ამოცანა 1. არის „მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფა“.**

ჩვენი მოსაზრებით, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მდგრადობის შენარჩუნება არ უნდა წარმოადგენდეს ზემოაღნიშნული სტატეგიის ნაწილს, შესაბამისად, გთავაზობთ მე-4 მიზნის პირველი და მეორე ამოცანა გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამოცანა 2. დასაქმებასა და მიზნობრიცი სოციალური დახმარების პროგრამას შორის კავშირის გაუმჯობესება

სახელმწიფო გააგრძელებს მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამას სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების 2015 წლიდან დანერგილი მეთოდოლოგიით. აღნიშნული მეთოდოლოგია ემყარება ოჯახების კეთილდღეობის შეფასების მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულ ე.წ. არაპირდაპირ მეთოდს და სტატისტიკურ მოდელს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ოჯახების რანჟირება კეთილდღეობის ინდექსის მიხედვით. ეს ინდექსი განისაზღვრება შინამეურნეობის სამომხმარებლო ინდექსის და საჭიროების ინდექსის ფარდობით, რომელიც, ერთი მხრივ, ითვალისწინებს შინამეურნეობის სასოფლო-სამეურნეო ქონებას (მიწა), შემოსავლებს, კომუნალურ ხარჯებს, დემოგრაფიულ მაჩვენებლებს, ოჯახის წევრთა განათლებას და დასაქმებას, ტერიტორიას, ძირითადი საცხოვრებლის მდგომარეობას და სხვა ცვლადებს, ხოლო, მეორეს მხრივ, ოჯახის წევრების სხვადასხვა კატეგორიების (სქესი, ასაკი, სპეციალური სტატუსი, როგორიცაა შშმ პირი, მარტოხელა პენსიონერი, მარტოხელა დედა, სარეცელს მიჯაჭვული და სხვა) საჭიროებებს. შესაბამისად, აღნიშნული მოდელი მაქსიმალურად მორგებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების და მათი წევრების რეალური კეთილდღეობის ხარისხსა და ინდივიდუალურ საჭირობებზე.

საქართველოს მთავრობის გრძელვადიანი ამოცანაა თანდათან დანერგოს მსოფლიოში აპრობირებული „სოციალური დახმარება დასაქმებისთვის“ (welfare to work) მიდგომები, რომელიც უზრუნველყოფს, ისეთი მექანიზმების შექმნას, რომელიც ხელი შეუწყობს სოციალური დახმარებიდან დასაქმებაზე გადასვლას. მნიშვნელოვანია მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემაში იმგვარი წესების შემოღება, რომ სოციალურმა დახმარებამ არ გამოიწვიოს „დახმარებაზე დამოკიდებულება“. ამ მიმართულებით გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც სოციალურად დაუცველი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში 100000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს უწყვეტად გაუგრძელდება საარსებო შემწეობის გაცემა ოჯახის წევრ(ებ)ის დასაქმების შემთხვევაში. ასეთ ოჯახს საარსებო შემწეობა შეუნარჩუნდება ერთი წელი, ხოლო მომდევნო ერთი წელი ოჯახს შეუნარჩუნდება მხოლოდ ბავშვის ბენეფიტი, არამონეტარული შეღავათები და ქულაზე დამოკიდებული სხვა შეღავათები.

ამ პროცესის შემდგომი ეტაპია სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრების გააქტიურება და დასაქმების ხელშეწყობა შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის დახმარებით. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაში ჩართვისთვის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია მაძიებელი ოჯახის შრომისუნარიანი წევრ(ებ)ის შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე (www.worknet.gov.ge) დარეგისტრირების ვალდებულება. შესაბამისად, მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და დასაქმების პროგრამებს შორის კავშირის განმტკიცებისათვის შესაძლებელია ამ პლატფორმის გამოყენება და პროფესიული მომზადება-გადამზადების, დასაქმების ფორუმებისა და აქტიური ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან ერთად ბაზაში რეგისტრირებული მაძიებლების კვალიფიკაციაზე და შესაძლებლობებზე მორგებული პროაქტიული სერვისების შეთავაზება.

შედეგი	**ინდიკატორი**	**მონაცემის წყარო**
კავშირი სოციალური დახმარებისა და დასაქმების პროგრამებს შორის გაუმჯობესებულია	სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახების პროცენტული რაოდენობა, რომელთა ერთი შრომისუნარიანი წევრი მაინც გახდა დასაქმებული დასაქმების პროგრამის დახმარებით.	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

3. „**დასაქმების და შრომის ბაზრის 2019-2023 წლების საქართველოს სტრატეგიის 2019-2023 წლების სამოქმედო გეგმაში“** 1.2.6. აქტივობად განსაზღვრულია „საარსებო შემწეობის ბენეფიციართა დასაქმების ხელშეწყობა“, ხოლო შესრულების ინდიკატორად მითითებულია „დასაქმებული საარსებო შემწეობის ბენეფიცართა რაოდენობა გაზრდილია 5 პროცენტით; საარსებო შემწეობის ბენეფიციარი ოჯახების რაოდენობა, სადაც ერთ წევრი მაინც დასაქმებულია გაზრდილია 4 პროცენტით.“.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული ინდიკატორები საჭიროებს კორექტირებას და იმგვარად ჩამოყალიბებას, რომ მკაფიოდ იყოს განსაზღვრული თავად ინდიკატორის ფორმულირება და მისაღწევი შედეგების გასაზომად გამოყენებული მახვენებლები ეფუძნებოდეს სწორ გათვლებს და მოლოდინებს.

პატივისცემით,

სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ოდიშარია